<u>შემსყიდველი ორგანიზაციების საყურადღებოდ!</u>

გაცნობებთ, რომ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული ანგარიშგების სრულყოფილად და სტანდარტულად განხორციელების მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის CMR მოდულში განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილება - ჩაიშალა დოკუმენტების ასატვირთი ველები და დაჯგუფდა თემატურად.

ამასთან, ასატვირთი ველების ჩამონათვალში გათვალისწინებულ იქნა როგორც სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობით დადგენილი სავალდებულოდ წარსადგენი დოკუმენტების ველები („ხელშეკრულება/გათანაბრებული დოკუმენტი“, „ინტერესთა კონფლიქტის ხელწერილი“, „ხელშეკრულების ცვლილების დოკუმენტი“, „შესრულების/შეუსრულებლობის დოკუმენტი“, „შემსყიდველის/მიმწოდებლის კორესპონდენცია“), ასევე, შესყიდვის პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, დაემატა ბაზრის კვლევის დოკუმენტ(ებ)ის ასატვირთი ველი („ბაზრის კვლევის დოკუმენტი“).

გთხოვთ, ყურადღებით მოეკიდოთ ზემოთაღნიშნული დოკუმენტების CMR-მოდულის შესაბამის ველში განთავსებას!